


თაზი III

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიზნაგები

2015 წლის განმავლობაში „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილება შეტანილი იქნა ორჯერ. ჯამში სახელმწიფო ბიუჯეტის ასიზნაგები თავდაპირველ ბიუჯეტთან შედარებით გაიზარდა 45 000.0 ათასი ლარით და განისაზღვრა 9 620 000.0 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულებამ შეადგინა 9 703 127.1 ათასი ლარი, რაც გეგმიურ მაჩვენებელთან მიმართებაში 83 127.1 ათასი ლარით მეტია, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 100.9%-ია.

საქართველოს 2011-2015 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების გეგმიური და საკასო მაჩვენებლები

(ათას ლარებში)



სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა 8 110 493.1 ათასი ლარით. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 8 090 303.2

ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული შესაბამისი მაჩვენებლის 99.8%-ია. გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 8 157 998.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.8%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 699 093.9 ათასი ლარით. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 680 985.0 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული მაჩვენებლის 97.4%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 680 173.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.9%-ია.


სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 336 190.0 ათასი ლარით. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 428 506.0 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული მაჩვენებლის 127.4%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 444 804.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 103.8%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება განისაზღვრა 474 223.0 ათასი ლარით. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 420 205.9 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის 88.6%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 420 150.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ია.

2015 წლის ასიგნებების სტრუქტურა
(საკასო შესრულება)



გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- საპენსიო უზრუნველყოფის მიმართულებით, სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაფინანსების მიზნით განხორციელდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებულ ბენეფიციართა უზრუნველყოფა სახელმწიფო პენსიებით და სახელმწიფო კომპენსაციებით. 2015 წლის სექტემბრიდან, წლიური საბიუჯეტო კანონის შესაბამისად, გაიზარდა ასაკით პენსიის ოდენობა და შეადგინა 160 ლარი. 2015 წლის 1 იანვრიდან 500 ლარით გაიზარდა და განისაზღვრა თითოეულ ოჯახზე 1 000 ლარის ოდენობით საერთაშორისო ოპერაციების ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელებისას გარდაცვლილ ან ამ მისიებში მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების გამო გარდაცვლილ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა ოჯახის წევრებზე, ასევე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, აგრეთვე 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრებზე გასაცემი სახელმწიფო კომპენსაციის თანხა. სულ საანგარიშო პერიოდში საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამული კოდიდან გადარიცხულ იქნა 1 399.0 მლნ ლარამდე.

- სოციალური დახმარებების პროგრამის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული დატაკი ოჯახებისთვის სოციალური დახმარებისა და ბავშვთა ინსტიტუციური დაწესებულებებიდან ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნებასთან დაკავშირებული რეინტეგრაციის შემწეობის გაცემა, ასევე, სოციალური პაკეტის დაფინანსება შშმ პირებისთვის, შშმ ბავშვებისთვის, მარჩენალდაკარგულებისთვის და სხვა მოწყვლადი კატეგორიებისათვის, ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობებით უზრუნველყოფა და შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე, ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში ფულადი დახმარების გაცემა. სოციალური დახმარებების გასაცემად საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართა სულ 611.8 მლნ ლარი, მათ შორის „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების ნაწილობრივი სუბსიდირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების ნაწილობრივი სუბსიდირების მიზნით 1 156.5 ათასი ლარი.

- „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის“ ფარგლებში (სრულად ამოქმედდა 2014 წლის 1 სექტემბრიდან), რომლის მიზანია ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე საქართველოს მოსახლეობისათვის ფინანსური უზრუნველყოფის შექმნა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობაზე, საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება გადაუდებელ სტაციონარულ და ამბულატორიულ მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. პროგრამამ მოიცვა ასევე, გეგმიურ-ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებები (გეგმიური ქირურგიული ოპერაციები, მ.შ. კარდიოქირურგიული და ონკოლოგიური ოპერაციები, ონკოლოგიურ პაციენტთა მკურნალობა,

მშობიარობა, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები და ა.შ.). სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 570.7 მლნ ლარი;

- 2015 წლის სექტემბრიდან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის ყველა პირისთვის (დაახლოებით 25 ათასამდე პირი) სოციალური პაკეტის ოდენობა გაიზარდა 10 ლარით, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ყველა ბავშვისათვის (დაახლოებით 9 200 შშმ ბავშვი) სოციალური პაკეტის ოდენობა გაიზარდა 60 ლარით;

- 2015 წლის აპრილიდან დაიწყო C ჰეპატიტის მკურნალობა ახალი თაობის მედიკამენტით, რომელიც სრულიად უფასოდ მიეწოდებათ საქართველოს მოქალაქეობის მქონე პაციენტებს. დიაგნოსტიკის კომპონენტით ისარგებლა 6 000 პირმა. სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 6 061.3 ათასი ლარი;

- საქართველოს თავდაცვის, საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროების მიერ დაფინანსებულ იქნა მოსამსახურეთა სადაზღვევო პრემიები;

- საანგარიშო პერიოდში სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი კომპაქტურად განსახლების ობიექტების დევნილთათვის კერძო საკუთრებაში გადაცემის მიზნით გადამოწმდა 857 ობიექტი და აღწერილ იქნა 7 990 ოჯახი. საკუთრებაში ბინები გადაეცა 5 575 ოჯახს; დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილდა 1 328 დევნილი ოჯახი, განხორციელდა კერძო საკუთრებაში არსებული 14 ობიექტის გამოსყიდვა - სულ 268 ბინა და შეძენილ იქნა 440 საცხოვრებელი სახლი ქ. თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

ამასთან, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხაზით გადაადგილებული პირების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მიმართული იქნა 55.8 მლნ ლარი, რომელიც ძირითადად მიიმართა:

- ✓ ქ. ზუგდიდში, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის 10 საცხოვრებელი კორპუსის და საცხოვრებელი უბნის გარე საინჟინრო ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე, ასევე ტერიტორიის კეთილმოწყობაზე;
- ✓ ქ. ფოთში, მალთაყვის უბანში, იძულებით გადაადგილებულ პირთა 32 საცხოვრებელი კორპუსის გარე ჰიდრო და თბოიზოლაციის მოწყობაზე;
- ✓ იმერეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში იძულებით გადაადგილებულ პირთა 6 კოლექტიური ცენტრის ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოებზე.

- სოციალური დახმარების სახით, ფინანსური დახმარება გაეწია 3 817 დევნილს, ასევე სხვადასხვა ნგრევადი და შეჭრილი ობიექტებიდან უკიდურესად გაჭირვებულ 851 ოჯახს - საცხოვრებელი ფართების დაქირავების მიზნით (ყოველთვიურად 200-დან 300 ლარამდე);

- მიმდინარე წლის 13-14 ივნისს ქალაქ თბილისში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახთა დახმარებისა და აღდგენითი სამუშაოების დაფინანსების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს მთავრობის სარეზერვო, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდებიდან მიმართული იქნა 35.0 მლნ ლარამდე;

- წარმატებით დასრულებული „საქართველოში ანალოგურიდან ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე გადასვლის“ რეფორმის ფარგლებში, 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველ ოჯახს (მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა

ოჯახებს) გადაეცა ციფრული მიწისზედა სიგნალის მიმღები სერტიფიცირებული აღჭურვილობა (ე.წ. სეთ-თოფ ბოქსები);

- ქვეყანაში არსებული 2.0 ათასზე მეტი საჯარო და 300-მდე კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დასაფინანსებლად მიიმართა 430.0 მლნ ლარამდე;

- შეძენილ იქნა 6.5 ათასზე მეტი კომპიუტერი, რომელიც გადაეცა ექვსასამდე საჯარო სკოლას, საკლასო და სამედიცინო ოთახებისთვის. ასევე შეძენილ იქნა 1.9 ათასზე მეტი კომპიუტერი წარჩინებული მოსწავლეებისათვის და დაახლოებით 45.0 ათასი ერთეული პორტაბელური კომპიუტერი პირველკლასელებისა და მათი მასწავლებლებისათვის;

- მოსწავლეთა/სტუდენტთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებული 1 170-მდე მანდატური, გადანაწილებულია 419 საჯარო და 3 კერძო სკოლაში, 2 პროფესიულ სასწავლებელში და 1 უნივერსიტეტში. ამ მიზნით მიიმართა 11.2 მლნ ლარზე მეტი;

- განხორციელდა კონფლიქტის ზონებში მცხოვრები პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება, ამ მიზნით მიიმართა 2.3 მლნ ლარზე მეტი;

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყო 1 143 საჯარო სკოლის 64.0 ათასამდე მოსწავლის უფასო ტრანსპორტირება სკოლაში, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ დასახლებულ პუნქტში, სადაც არ ფუნქციონირებს სკოლა და სკოლამდე მისასვლელი მანძილი შესამჩნევად დიდია. ამ მიზნით სულ მიიმართა 16.8 მლნ ლარი;

- დასრულდა ორი საჯარო სკოლის მშენებლობა, 507 საჯარო სკოლისა და 12 პროფესიული კოლეჯის სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე, დაფინანსება მიეცა 204 საგანმანათლებლო დაწესებულებას, სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით;

- „სპორტსმენთა სტიპენდიების“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები გაიცა 750 სპორტსმენზე, მწვრთნელზე და საექიმო პერსონალზე. „ვეტერან სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა სოციალური დახმარების“ პროგრამის ფარგლებში მატერიალური და სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად 360 ვეტერანმა სპორტსმენმა და სპორტის მუშაკმა მიიღო დახმარება. „ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდიების“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები დანიშნული აქვს 31 სახელოვან სპორტსმენს, თითოეულს 1000 ლარის ოდენობით;

- სპორტულ სახეობათა მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 130 ადგილობრივი სპორტული შეჯიბრი და 200 სასწავლო - საწვრთნო შეკრება სპორტის 45 სახეობაში. ქართველმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს 170 საერთაშორისო სპორტულ ასპარეზოებაში და მოიპოვეს 679 მედალი (200 ოქრო, 200 ვერცხლი და 279 ბრინჯაო). სპორტის ინდივიდუალურ ოლიმპიურ, არაოლიმპიურ, პარაოლიმპიურ და სპორტის ცალკეულ სათამაშო სახეობებში გამართულ სპორტულ შეჯიბრებებში მიღწეული შედეგების მიხედვით, ფულადი პრიზებით დაჯილდოვდნენ საქართველოს ნაკრები გუნდების წევრთა, მწვრთნელთა, საექიმო პერსონალის და შესაბამისი ეროვნული სპორტული ფედერაციების ადმინისტრაციული ჯგუფები, რისთვისაც საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან „საქართველოს სპორტსმენთა ხელშეწყობის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 10.6 მლნ ლარი.

- განხორციელდა 2015 წელს ქ. თბილისში გამართული ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის მოსაწყობად (მათ შორის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მულტიფუნქციური სპორტის სასახლისა და საცურაო აუზის ასაშენებლად) საჭირო ღონისძიებების დაფინანსება, რისთვისაც საანგარიშო პერიოდში

საქართველოს მთავრობის სარეზერვო და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდებიდან საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 72.6 მლნ ლარი;

- სპორტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და სპორტული ინფრასტრუქტურის განახლების პროგრამის ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ადგილობრივ თვითმმართველობებს გადაეცა სპორტული ობიექტებისათვის შეძენილი სხვადასხვა სახის მცირეფასიანი სპორტული ინვენტარი. შეძენილ იქნა სპეციალური აღჭურვილობა მთამსვლელთა ფედერაციისათვის;

- განხორციელდა სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულ ცენტრში რიცხული 150 სპორტსმენის, მათ შორის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრებისა და კანდიდატების უზრუნველყოფის პროგრამა საცხოვრებლით, კვებით და სპორტული დარბაზებით;

- ანაზღაურებულ იქნა ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიან სოფლებში (სეთურნი, ზაქათკარი, ჯალმიანი, ბედონი, ბენიან-ბეგონი, იუხო, მუდურუ, წკერე, ციხიანი, სვიანა-როსტიანი და ქოროლო) მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მიერ მოხმარებული 10.6 მლნ მ³ ბუნებრივი აირის ღირებულება 4.3 მლნ ლარის ოდენობით.

- საანგარიშო პერიოდში 46,0 მლნ ლარი მიიმართა მცირემიწიან ფერმერთა 2015 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის დასაფინანსებლად, ხოლო 4.8 მლნ ლარი - აგროდაზღვევის ღონისძიებების დაფინანსების უზრუნველსაყოფად;

- 2015 წლის რთვლის ღონისძიებების ეფექტურად განხორციელების მიზნით, კერძოდ, ყურძნის შესყიდვა-გადამუშავების ხელშეწყობის ღონისძიებების განსახორციელებლად სულ მიიმართა 60.7 მლნ ლარი;

- საანგარიშო პერიოდში ღვინის კომპანიების მიერ გადასამუშავებლად მიღებული იქნა 148.3 ათასი ტონა ყურძენი, აქედან სუბსიდირებულმა ყურძნის რადენობამ შეადგინა 122.3 ათასი ტონა, მათ შორის: საფერავი 35.5 ათასი ტონა, რქაწითელი 84.9 ათასი ტონა, რქაწითელი 84.9 ათასი ტონა, კახური მწვანე 1.9 ათასი ტონა;

- ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, საანგარიშო პერიოდში საქართველოდან მსოფლიოს 46 ქვეყანაში ექსპორტირებულია 36 071.4 ათასი ბოთლი (0.75 ლ) ღვინო, რაც თანხობრივად 98.1 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. ექსპორტის მატება აღინიშნება ისეთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ბაზრებზე, როგორცაა: აშშ, კანადა, იაპონია, ექსპორტი აგრეთვე გაიზარდა ყირგიზეთში, ისრაელში, კორეაში და სხვა, ასევე ზრდა დაფიქსირდა ევროკავშირის ქვეყნებში: პოლონეთში, ლიტვა, ესტონეთი, ნიდერლანდები, საფრანგეთი, დანია. ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავალმა 146.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა;

- სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაციისთვის მიიმართა 63.5 მლნ ლარი, მათ შორის: სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის დასაფინანსებლად და სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის შეძენის მიზნით 53.5 მლნ ლარი, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მიმდინარე ექსპლუატაციის ხარჯების და კომპანიის სხვა მიმდინარე ხარჯების ნაწილობრივი სუბსიდირების მიზნით 10.0 მლნ ლარი.

- საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე გზების მოვლა-შენახვაზე ახალი მაგისტრალების, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მშენებლობაზე დახარჯული იქნა 488.4 მლნ ლარი, მათ შორის:

- ✓ გზების პერიოდული შეკეთებაზე და რეაბილიტაციაზე - 110.8 მლნ ლარი.

- ✓ გზების მიმდინარე შეკეთებაზე და შენახვაზე ზამთრის პერიოდში - 38.9 მლნ ლარი.
- ✓ ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობაზე - 257.3 მლნ ლარი.
- საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დახარჯულ იქნა 183.9 მლნ ლარი, მათ შორის:
 - ✓ მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამაზე - 92.8 მლნ ლარი;
 - ✓ რეგიონალური განვითარების პროექტი I ნაწილი (კახეთი) პროექტზე - 9.4 მლნ ლარი;
 - ✓ რეგიონალური განვითარების პროექტი II ნაწილი (იმერეთი) პროექტზე - 16.5 მლნ ლარი.
- წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციაზე მიმართული იქნა 137.5 მლნ ლარი, მათ შორის:
 - ✓ წყლის ინფრასტრუქტურის განახლებაზე (I და II) - 34.0 მლნ ლარი;
 - ✓ ურბანული მომსახურების გაუმჯობესებაზე - 88.6 მლნ ლარი.
- სათხილამურო ტრასებისა და მთის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, მოვლა შენახვაზე ზემო სვანეთში მიმართულ იქნა 21.0 მლნ ლარი, ხოლო ჭიათურის საბაგირო გზების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციაზე - 5.6 მლნ ლარი;
- სახელმწიფო ქონების ეკონომიკურ აქტივობაში ჩართვის მიზნით, სახელმწიფო უწყებებს/საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს გადაეცა 447 ერთეული უძრავი ქონება, ხოლო თვითმმართველ ერთეულებს - 1 195 ობიექტი;
- „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ, ხელშეკრულება გაფორმდა 64 ბენეფიციარ კომპანიასთან საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების მიზნით. დამტკიცებული სესხების საერთო რაოდენობამ შეადგინა 97.3 მლნ ლარი, ხოლო მოსალოდნელმა ინვესტიციამ - 147.1 მლნ ლარი. გარდა ამისა, პროგრამის ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის კომპონენტის ფარგლებში ქონება გადაეცა 21 ბენეფიციარს;
- დასრულდა საქართველოში პირველი ტექნოლოგიური პარკის მშენებლობა, შეიქმნა სამრეწველო ინოვაციების 5 ლაბორატორია (ქ. ბათუმი, ქ. ქუთაისი და ქ. თბილისი), ინოვაციების ცენტრი ხარაგაულში (ცენტრალური ბიბლიოთეკის ბაზაზე) და ინოვაციების ლაბორატორია ქ. გორში (გორის უნივერსიტეტის ბაზაზე), რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ინოვაციური ეკოსისტემის ჩამოყალიბებას, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროს განვითარებას;
- გაიხსნა საქართველოს საელჩო კუბის რესპუბლიკაში. დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა ტონგას სამეფოსთან, ბელიზთან და ნამიბიასთან. გაიზარდა საქართველოს საელჩოების გადაფარვის არეალი. ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში ხელი მოეწერა/ძალაში შევიდა 105 ხელშეკრულება. საქართველოს მიერ განხორციელებულ იქნა ყოველწლიური საწევრო შენატანი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში არსებულ ფონდებსა და გაეროს სამშვიდობო მისიაში.
- ძალაში შევიდა შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმება ბელარუსის რესპუბლიკასთან, პორტუგალიასა და ისლანდიასთან, ასევე „საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ 2006 წლის 1 ივნისის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ოქმი. საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული იქნა შეთანხმება კვიპროსთან, ხოლო ხელი მოეწერა შეთანხმებას ლიხტენშტაინთან. პარაფირებული იქნა შეთანხმების ტექსტები სამხრეთ კორეასთან, საუდის არაბეთთან და მაროკოსთან, ხოლო შეთანხმება განახლებული იქნა პოლონეთთან.

- „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში” ცვლილებების შეტანის თაობაზე” შეთანხმების შესაბამისად 2015 წლის 15 მარტს განხორციელდა საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის 15 მარტს გამოშვებული 440,846.0 ათასი ლარის სახელმწიფო ობლიგაციების განახლება 400,846.0 ათასი ლარის ოდენობით, წლიური 5.919 პროცენტი სარგებლის გადახდით და 40,000.0 ათასი ლარის გადაფორმება სახელმწიფო ობლიგაციებად ღია ბაზრის ოპერაციებისათვის, საიდანაც:

- ✓ 10,000.0 ათასი ლარი გადაფორმდა წლიური 8.000 პროცენტი სარგებლის გადახდით;
- ✓ 8,000.0 ათასი ლარი წლიური 8.250 პროცენტი სარგებლის გადახდით;
- ✓ 12,000.0 ათასი ლარი წლიური 8.625 პროცენტი სარგებლის გადახდით;
- ✓ 10,000.0 ათასი ლარი წლიური 9.125 პროცენტი სარგებლის გადახდით.

ასევე, ზემოაღნიშნული შეთანხმების შესაბამისად, 2015 წლის 15 მარტს განხორციელდა 2010 წლის 15 მარტს გამოშვებული „ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“ დაფარვა 5,000.0 ათასი ლარის ოდენობით და 2015 წლის 15 ივნისს განხორციელდა 2011 წლის 15 მარტს გამოშვებული „ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“ დაფარვა 10,000.0 ათასი ლარის ოდენობით, 2015 წლის 15 სექტემბერს განხორციელდა 2012 წლის 15 მარტს გამოშვებული „ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“ დაფარვა 12,000.0 ათასი ლარის ოდენობით და 2015 წლის 15 დეკემბერს განხორციელდა 2013 წლის 15 მარტს გამოშვებული „ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“ დაფარვა 8,000.0 ათასი ლარის ოდენობით.

- საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებზე დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიები გაიცა 125 დაჯილდოებულ პირზე. ამ მიზნით მიიმართა 87.6 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური

კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 378 765.0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1 376 776.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.9%-ს შეადგენს. „შრომის ანაზღაურების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 16.9%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 14.2%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 917 475.8 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 946 218.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 103.1%-ს შეადგენს. „საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 11.6%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 9.8%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ კატეგორიიდან ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული დანარჩენი ხარჯების სტრუქტურა შემდეგია:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 149 844.9 ათასი ლარი;
- მივლინებები - 63 083.9 ათასი ლარი;
- ოფისის ხარჯები - 179 812.0 ათასი ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯები - 17 877.0 ათასი ლარი;

- კვების ხარჯები - 67 844.7 ათასი ლარი;
- სამედიცინო ხარჯები - 34 334.5 ათასი ლარი;
- რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები - 29 716.5 ათასი ლარი;
- ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 120 800.5 ათასი ლარი;
- სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები - 32 050.5 ათასი ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 250 854.3 ათასი ლარი.

„პროცენტის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 326 591.3 ათასი ლარი (დაზუსტებული გეგმის 99.9%), რაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 3.4%-ს შეადგენს. პროცენტის მუხლიდან საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიმართული იქნა 174 293.8 ათასი ლარი, ხოლო სამინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე 152 223.7 ათასი ლარი.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 235 626.4 ათასი ლარით. საკასო შესრულებამ შეადგინა 245 745.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 104.3%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ 3.0%-ს შეადგენს.

სუბსიდიის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორცაა:

- ✓ სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 56 097.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.9%-ს შეადგენს;
- ✓ შეღავათიანი აგროკრედიტები - ჯამურად მიიმართა 34 473.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებაზე ჯამურად მიიმართა 34 209.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96.4%-ს შეადგენს;
- ✓ მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამა - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში მიიმართა 18 688.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.5%-ს შეადგენს;
- ✓ სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტი - აღნიშნული მიზნით მიიმართა 14 490.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია - ჯამურად მიიმართა 10 000.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;

„გრანტების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 1 271 342.9 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (1 276 397.6 ათასი ლარი) 99.6%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 13.1%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 2 802 402.0 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური პარამეტრის (2 801 988.1 ათასი ლარი) 100.0%-ს შეადგენს. „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 34.4%-ა, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 28.9%-ს შეადგენს.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- ✓ საპენსიო უზრუნველყოფა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 1 398 957.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ სოციალური დახმარებები - აღნიშნული მიზნით მიიმართა 611 837.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 570 681.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა და მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში პროგრამები - აღნიშნული მიზნით ჯამურად მიიმართა 155 658,8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.3%-ს შეადგენს;
- ✓ სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვებზე ზრუნვა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 17 804.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.8%-ს შეადგენს;


„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 153 166.4 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 1 188 921.3 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 103.1%-ს. „სხვა ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 14.6%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 12.3%-ს შეადგენს.

„სხვა ხარჯების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 429 737.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია - აღნიშნული მიზნით მიიმართა 143 346.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98.7%-ს შეადგენს;
- იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (მ.შ დევნილთა სახლების მშენებლობა/რეაბილიტაცია) - აღნიშნული მიზნით მიიმართა 73 628.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 153.7%-ს შეადგენს;
- სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 80 609.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98.2%-ს შეადგენს;
- მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებები - აღნიშნული მიზნით მიიმართა 46 000.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100%-ს შეადგენს.
- წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია - აღნიშნული მიზნით მიიმართა 34 460.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.7%-ს შეადგენს;
- საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება-აღნიშნული მიზნით მიიმართა 32 110.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.6%-ს შეადგენს;


- ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს - მეორე პროექტი (ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია) - აღნიშნული მიზნით მიიმართა 29 901.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 70.0%-ს შეადგენს;
- მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 26 732.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 104.2%-ს შეადგენს;
- პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის და ხარისხის გაუმჯობესება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 14 789.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.8%-ს შეადგენს;
- პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 12 152.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.1%-ს შეადგენს;

2015 წლის ხარჯების სტრუქტურა
(საკასო შესრულება)



სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

2014-2015 წლების ფაქტიური შესრულება
ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით



701 - საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება, 702 - თავდაცვა, 703 - საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, 704 - ეკონომიკური საქმიანობა, 705 - გარემოს დაცვა, 706 - საბინაო - კომუნალური მეურნეობა, 707 - ჯანმრთელობის დაცვა, 708 - დასვენება, კულტურა და რელიგია, 709 - განათლება, 710 - სოციალური დაცვა

შენიშვნა: 701* - გათვალისწინებული არ არის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 2 049 822.1 ათასი ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 2 050 259.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 100.0%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 23.2%. მათ შორის:

- ✓ აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის, საგარეო ურთიერთობების დაფინანსებამ შეადგინა 367 957.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (368 125.4 ათასი ლარი) 100.0%-ია;

- ✓ საერთო დანიშნულების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 40 963.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (38 193.3 ათასი ლარი) 107.3%-ია;
- ✓ ფუნდამენტალური სამეცნიერო კვლევების დაფინანსების მოცულობამ შეადგინა 37 083.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (34 706.8 ათასი ლარი) 106.8%-ია;
- ✓ ვალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 326 517.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (326 810.0 ათასი ლარი) 99.9%-ია;
- ✓ საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადების მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის დაფინანსებამ შეადგინა 1 242 414.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (1 247 707.8 ათასი ლარი) 99.6%-ია;
- ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 35 321.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (34 278.9 ათასი ლარი) 103.0%-ია.

- თავდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 629 399.7 ათასი ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 654 214.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 103.9%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 7.4%. მათ შორის:

- ✓ შეიარაღებული ძალების დაფინანსებამ შეადგინა 612 737.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (589 448.1 ათასი ლარი) 104.0%;
- ✓ საგარეო სამხედრო დახმარების დაფინანსებამ შეადგინა 2 820.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (2 820.7 ათასი ლარი) 100.0%;
- ✓ თავდაცვის სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 37 045.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (35 518.9 ათასი ლარი) 104.3%-ს შეადგენს;
- ✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსებამ თავდაცვის სფეროში შეადგინა 1 611.1 ათასი ლარი, რაც დაგეგმილი მაჩვენებლის (1 612.0 ათასი ლარი) 99.9%-ია.

- საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში დაგეგმილ იქნა 963 502.0 ათასი ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 961 032.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.7%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 10.9%. მათ შორის:

- ✓ პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 650 339.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (648 688.1 ათასი ლარი) 100.3%;
- ✓ სახანძრო სამაშველო სამსახურის დაფინანსებამ შეადგინა 15 128.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (15 134.2 ათასი ლარი) 100.0%;
- ✓ სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსებამ შეადგინა 107 852.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (108 769.0 ათასი ლარი) 99.2%-ს შეადგენს;
- ✓ სასჯელაღსრულების დაწესებულებებზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 117 722.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (120 243.5 ათასი ლარი) 97.9%-ს შეადგენს;
- ✓ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 69 990.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (70 667.2 ათასი ლარი) 99.0%-ს შეადგენს.

- ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 944 304.6 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 950 249.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 100.6%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 10.8%. მათ შორის:

- ✓ საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 43 524.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (43 842.3 ათასი ლარი) 99.3%;
- ✓ სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსებამ შეადგინა 201 031.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (197 784.7 ათასი ლარი) 101.6%-ს შეადგენს;
- ✓ სათბობზე და ენერგეტიკაზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 23 664.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (12 614.7 ათასი ლარი) 187.6%-ს შეადგენს;
- ✓ სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობაზე და მშენებლობაზე მიმართული იყო 1 406.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (1 423.3 ათასი ლარი) 98.8%;
- ✓ ტრანსპორტის დაფინანსებამ შეადგინა 568 642.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (575 792.1 ათასი ლარი) 98.8%;
- ✓ ეკონომიკის სხვა დარგების დაფინანსებამ შეადგინა 81 769.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (83 749.9 ათასი ლარი) 97.6%;
- ✓ ეკონომიკური საქმიანობის სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 1 030.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 030.2 ათასი ლარი) 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ ეკონომიკური საქმიანობის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 29 179.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (28 067.4 ათასი ლარი) 104.4%-ს შეადგენს.

- გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 44 238.3 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 44 794.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 101.3%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 0.5%. მათ შორის:

- ✓ ნარჩენების შეგროვების, გადამამუშავებისა და განადგურების დაფინანსებამ შეადგინა 378.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (380.0 ათასი ლარი) 99.6%-ს შეადგენს;
- ✓ ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 18 076.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (18 012.0 ათასი ლარი) 100.4%-ს შეადგენს;
- ✓ გარემოს დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 26 339.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (25 846.3 ათასი ლარი) 101.9%-ს შეადგენს.

- საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 49 082.8 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 48 382.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98.6%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 0.5%. მათ შორის:

- ✓ კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსებამ შეადგინა 13 915.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (14 501.5 ათასი ლარი) 96.0%-ს შეადგენს;
- ✓ წყალმომარაგების დაფინანსებამ შეადგინა 34 006.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (34 119.8 ათასი ლარი) 99.7%-ს შეადგენს;
- ✓ საბინაო კომუნალური მეურნეობის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 460.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (461.5 ათასი ლარი) 99.7%-ს შეადგენს.

- ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 832 894.7 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 855 131.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 102.7%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 9.7%. მათ შორის:

- ✓ სამედიცინო პროდუქციის, მოწყობილობების და აპარატების დაფინანსებამ შეადგინა 23 661.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (23 779.5 ათასი ლარი) 99.5%;

- ✓ ამბულატორიული მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 612 052.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (612 095.8 ათასი ლარი) 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ საავადმყოფოების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 151 096.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (132 629.2 ათასი ლარი) 113.9%;
- ✓ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 15 018.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (15 173.4 ათასი ლარი) 99.0%-ს შეადგენს;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 53 303.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (49 216.7 ათასი ლარი) 108.3%-ს შეადგენს.

- დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 215 103.2 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 222 584.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 103.5%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 2.5%. მათ შორის:

- ✓ დასვენებისა და სპორტის სფეროში მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 65 583.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (65 757.9 ათასი ლარი) 99.7%;
- ✓ კულტურის სფეროში მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 102 820.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (95 251.0 ათასი ლარი) 107.9%-ს შეადგენს;
- ✓ ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 42 457.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (42 357.1 ათასი ლარი) 100.2%-ს შეადგენს;
- ✓ რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 1 780.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 781.0 ათასი ლარი) 99.9%-ს შეადგენს;
- ✓ დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 9 942.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (9 956.2 ათასი ლარი) 99.9%-ს შეადგენს.


- განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 849 955.8 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 833 914.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98.1%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 9.4%. მათ შორის:

- ✓ ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 476 066.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (476 460.9 ათასი ლარი) 99.9%-ს შეადგენს;
- ✓ პროფესიული განათლების დაფინანსებამ შეადგინა 22 122.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (22 335.0 ათასი ლარი) 99.0%;
- ✓ უმაღლესი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 132 736.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (130 096.8 ათასი ლარი) 102.0%-ს შეადგენს;
- ✓ უმაღლესის შემდგომი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 312.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (346.0 ათასი ლარი) 90.3%-ს შეადგენს;
- ✓ განათლების სფეროს დამხმარე მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 98 750.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (102 595.0 ათასი ლარი) 96.3%-ს შეადგენს;
- ✓ განათლების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 103 925.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (118 122.1 ათასი ლარი) 88.0%-ს შეადგენს.

• სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 2 192 985.1 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 2 217 608.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 101.1%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 25.1%. მათ შორის:

- ✓ ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 4 174.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (4 196.9 ათასი ლარი) 99.5%;
- ✓ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 1 399 245.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 399 245.6 ათასი ლარი) 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 630 125.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (630 442.1 ათასი ლარი) 99.9%;
- ✓ საცხოვრებლით უზრუნველყოფის დაფინანსებამ შეადგინა 10 923.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (10 943.9 ათასი ლარი) 99.8%;
- ✓ სოციალური გაუცხოების საკითხების, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას, დაფინანსებამ შეადგინა 126 750.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (101 318.0 ათასი ლარი) 125.1%;
- ✓ სოციალური დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 46 389.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (46 838.6 ათასი ლარი) 99.0%-ს შეადგენს.

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების სტრუქტურა ფუნქციონალურ კრილში



საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის ასიგნებები განისაზღვრა 85 000.0 ათასი ლარით. ამასთან, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 31-ე მუხლის მე-4 ნაწილის და „საქართველოს 2015 წლის

სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებებით განხორციელდა სხვადასხვა მხარჯავი დაწესებულების ასიგნებებიდან თანხის გადანაწილება საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებში და მთავრობის სარეზერვო ფონდი გაიზარდა 27 188.0 ათასი ლარით. ასევე, საგარეო და საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის გათვალისწინებული ასიგნებების (ჯამურად 52 200.0 ათასი ლარი), წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის ასიგნებების (5 300.0 ათასი ლარი) და საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებისათვის დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიების გაცემის ფინანსური უზრუნველყოფის ასიგნებების (410.0 ათასი ლარი) შემცირების ხარჯზე საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი გაიზარდა 57 910.0 ათასი ლარით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფონდის ასიგნებები წლის განმავლობაში სულ გაიზარდა 85 098.0 ათასი ლარით და წლის ბოლოს განისაზღვრა 170 098.0 ათასი ლარის ოდენობით.

საქართველოს მთავრობის განკარგულებებით და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებებით საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 170 012.9 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ - 167 943.9 ათასი ლარი.

		<i>ლარებში</i>			
<i>დოკუმენტის თარიღი და ნომერი</i>	<i>თანხის გაცემის მიზანი</i>	<i>ნორმატიული აქტით გამოყოფილი თანხა</i>	<i>გამოყოფილი თანხა</i>	<i>საკასო ხარჯი</i>	<i>გადაბრა</i>
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია		2,789,086.4	2,727,781.9	2,583,643.6	32,670.7
საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება N3 06.01.15.	ადრიატიკის ზღვაში, ბორან „ნორმან ატლანტიკზე“ ტრაგიკულად დაღუპული მცხეთის დავით აღმაშენებლის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრის, ომარ კარტოზიას (მამა ილია) დაკრძალვასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად გარდაცვლილის ოჯახის დახმარება	10,000.0	10,000.0	10,000.0	0.0
საქართველოს მთავრობის განკარგულება N952 15.05.15.	საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისისადმი მიძღვნილი ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსების მიზნით	385,000.0	385,000.0	352,329.3	32,670.7
საქართველოს მთავრობის განკარგულება N714 08.04.15.	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის შეუფერხებელი და თანმიმდევრული განხორციელებისათვის საჭირო საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით	1,529,394.1	1,481,932.2	1,481,932.2	0.0
საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება N289 16.07.15.	საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსების მიზნით	32,742.2	18,899.7	18,899.4	0.3
საქართველოს მთავრობის განკარგულება N2552 27.11.15.	საქართველოს მთავრობის სამწლიანი მუშაობის შეჯამების ამსახველი ანგარიშის საინფორმაციო კამპანიასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით	611,500.0	611,500.0	522,482.7	89,017.3
საქართველოს მთავრობის განკარგულება N2630 11.12.15.	საქართველოს ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის წარმატებით განხორციელების აღნიშვნასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით	220,450.0	220,450.0	198,000.0	22,450.0
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია		1,435,900.0	1,435,900.0	1,412,494.8	23,405.2

დოკუმენტის თარიღი და ნომერი	თანხის გაცემის მიზანი	ნორმატიული აქტით გამოყოფილი თანხა	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი	გადახრა
საქართველოს მთავრობის განკარგულება N713 08.04.15.	2015 წლის 31 მაისს დანიშნული სენაკისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნების დაფინანსების მიზნით	130,000.0	130,000.0	129,999.2	0.8
საქართველოს მთავრობის განკარგულება N1885 07.09.15.	2015 წლის 31 ოქტომბერს დანიშნული საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით N11 საგარეჯოს და N65 მარტვილის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში საქართველოს პარლამენტის შუალედური და საგარეჯოს, დმანისის, ვანისა და ხობის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნების დაფინანსების მიზნით	1,305,900.0	1,305,900.0	1,282,495.5	23,404.5
ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი		1,571,000.0	1,556,537.1	1,552,439.4	4,097.7
საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება N142 21.04.15.	2015 წლის 4-10 მაისს საქართველოში ნატო-ს კვირეულის ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით	21,000.0	21,000.0	17,085.9	3,914.1
საქართველოს მთავრობის განკარგულება N1065 25.05.15.	ქ. ბათუმში, 2015 წლის 18-19 ივნისს დაგეგმილი საერთაშორისო კონფერენციის „საქართველოს ევროპული გზა“ მაღალ დონეზე ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით	190,000.0	177,463.6	177,328.6	135.0
საქართველოს მთავრობის განკარგულება N294 19.02.15.	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის შეუფერხებელი და თანმიმდევრული განხორციელებისათვის საჭირო საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით	1,360,000.0	1,358,073.5	1,358,024.9	48.6
დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი		576,687.3	557,752.3	536,078.6	21,673.7
საქართველოს მთავრობის განკარგულება N723 08.04.15.	27-28 მაისს ქართული დიასპორის დღის აღნიშვნასთან დაკავშირებული ღონისძიებების და სახელმწიფო მინისტრის აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით	200,000.0	181,065.0	181,010.1	54.9
საქართველოს მთავრობის განკარგულება N2073 24.09.15.	გლობალური დიასპორული კვირეულის ჩატარებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით	100,000.0	100,000.0	78,381.2	21,618.8
საქართველოს მთავრობის განკარგულება N1850 04.09.15.	საფრანგეთის რესპუბლიკაში არსებული „ლევლის შატოს“ მამულისა და ქონების საქართველოსათვის გადმოსაცემად საჭირო, ლევლის მამულის დიაგნოსტიკური კვლევის ჩატარებისა და წინასწარი არქიტექტურული პროექტის შედგენის ხარჯების დაფინანსების მიზნით	276,687.3	276,687.3	276,687.3	0.0
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი		336,000.0	336,000.0	336,000.0	-
საქართველოს მთავრობის განკარგულება N30 15.01.15.	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონში მცხოვრები 108 ოჯახის ზამთრის პერიოდში ერთჯერადი ფინანსური დახმარების მიზნით (თითოეულ ოჯახზე - 2 000 ლარი)	216,000.0	216,000.0	216,000.0	0.0
საქართველოს მთავრობის განკარგულება N1616 12.08.15.	არაქართულენოვანი გაზეთების: „ვრასტანი“-სა და „გურჯისტანი“-ს ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით (60-60 ათ.ლ.)	120,000.0	120,000.0	120,000.0	0.0

დოკუმენტის თარიღი და ნომერი	თანხის გაცემის მიზანი	ნორმატიული აქტით გამოყოფილი თანხა	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი	გადახრა
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო		21,853,473.6	21,853,473.6	21,853,473.6	-
საქართველოს მთავრობის განკარგულება N38 20.01.15.	კომპანია „Microsoft“-ის ლიცენზიების შესყიდვის მიზნით	21,853,473.6	21,853,473.6	21,853,473.6	0.0
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		13,123,157.0	12,924,427.5	12,923,923.6	503.9
საქართველოს მთავრობის განკარგულება N142 05.02.15.	საქართველოს მასშტაბით სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის განხორციელებისათვის საჭირო საქონლის, მომსახურების შესყიდვისა და შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით	900,000.0	707,075.0	707,074.8	0.2
საქართველოს მთავრობის განკარგულება N1375 26.06.15.	მაუწყებლებისათვის მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მოქმედების ვადის დარჩენილი დროის პროპორციულად ლიცენზიის გადახდილი საფასურის დაბრუნების მიზნით	1,075,000.0	1,073,076.6	1,073,076.6	0.0
საქართველოს მთავრობის განკარგულება N2047 23.09.15.	სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის დაფინანსების მიზნით	380,000.0	380,000.0	380,000.0	0.0
საქართველოს მთავრობის განკარგულება N2166 07.10.15.	სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტოს - 2015 წლის 15-16 ოქტომბერს ქ. თბილისში გასამართი საერთაშორისო ფორუმის „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის“ ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის საჭირო ხარჯების ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით	1,043,000.0	1,043,000.0	1,043,000.0	0.0
საქართველოს მთავრობის განკარგულება N2167 07.10.15.	სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას - საქართველოს მარკეტინგული და სარეკლამო კომპანიების წარმოების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსება	7,500,000.0	7,496,119.0	7,496,118.9	0.1
საქართველოს მთავრობის განკარგულება N2352 29.10.15.	ა(ა)იპ - ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს ოფისის ქირის დასაფარად	25,157.0	25,157.0	24,653.3	503.7
საქართველოს მთავრობის განკარგულება N2626 09.12.15.	სამთო-სათხილამურო კურორტებზე 2015-2016 წლების ზამთრის სეზონის გახსნასთან დაკავშირებული საჭირო ღონისძიებების განსახორციელებლად	2,200,000.0	2,200,000.0	2,200,000.0	0.0
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო		3,070,377.2	2,475,017.1	2,465,538.3	9,478.9
